სახალხო გაზეთი

№ 728 შაბათი, 20 ოქტომბერი 1912 წ. № 728

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკაკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მოსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაბეჭდილი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. მარტივად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია **„გრდემლის"** მისალებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უეჭველად იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
ქვინოგბისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ორნდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისთვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთი გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ ნაბეჭდი თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთის ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა ს.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერებს შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს თუნდაც საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

დავით მიხეილს ძე ჩიკვაიძე, ოლღა პორფირეს ასული და პოლიკარპე ზურაბის ძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. ბაქოში, 16 ოქტომბერს, სამშაბათს, დილის 6 ს., გარდაიცვალა პირველისა—მეუღლე, უკანასკნელთა—შვილი

ნინო პოლიკარპეს ასული.

ბაქოდან გამოასვენეს ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, სადგურს ბელაგორში და იქიდან ოფ. საბეში. დაკრძალვა სოფ. საბეში სამშაბათს, 23 ოქტომბერს. 1556.

ა ა ლ ი კ ლ უ ბ ი

შაბათს, 0 ოქტომბერს 1912 წ. გაიმართება

ქართული კონცერტი

. ბ. ფოცხვერაშვილისა

შესრულებული იქნება კ. ფოცხვერაშვილის ახალ ქართულ ოპერიდან (კერპთა დამხობა) სოლოები, ხოროები სიმფონიური ნომრები. ქალ ვაჟთა ხოროო ორკესტრთან ერთად შეასრულებს ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებულ ქართულ ეროვნულ სიმღერებს სიმფონურ განყოფილებაში შესრულებული იქნება სამუსიკო ესკიზი კ. ფოცხვერაშვილისა „ქმულება ამირანზე" და მ. ბალანჩივაძის „დავლური" და ლეკური" („თამარ ცბიერიდან") მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი პრესინსკაია (შეასრულებს ქურუმ-ქალის არიას „რჯთა დამხობიდან" ხოროსთან და ორკესტრთან ერთად) ქალ-ვაჟთა ხოროო და ახალი ლუბის სიმფონიური ორკესტრი. კონცერტის შემდეგ გაიმართება ცეკვა. ბილეთები 2 კ. ვიდრე 2 მანეთამდე იყიდება თეატრის კასაში. **ვიოლაც მარტო კონცერტის მოსმენ ჰსურს, კლუბში შესასვლელი ფულს არ იხდის.**

დასაწყისი საღამოს 8 ნახევარზე 1536 **ლოტბარი კ. ფოცხვერაშვილი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქ. ნინიძის ქუჩ., საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმრო და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტ ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური გაყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების ადგილი შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს იღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყ.	**ლამბაშიძე ვ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	ლავითაძე რ. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ოთბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	ბალალაშვილი ვ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	ბანსკტაშვილი ბ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. ბ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადერმატო-ვენერიული ავად.	**მარკეზიჩი ვ. ლ.** (ინსტიტუტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშინაო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბინ-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვთა ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. ბ. (ყველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ავადმ.	**ბედევანიშვილი მ.** (შაბათობით) 10½—11.
	ლავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყელ. ყურ. და ცხვ.	**ბოინინაცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორეშმაკოვი ნ. ს. (ყველ დღე) 2½—3.
თვალ-ის ავ.	**მუსხელიშვილი ვ.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. ბელ. ავ.	**მზარეულიშვილი მ.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამეცნიერო ქიმიო და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა ათანგ. **Wassermann.** რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკეთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე ფოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოსსულები, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეზავება**, ელექტროენერ წამლ., მასაჟი, ყვავილის ვაცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა ნაირ-ნაირი საგანსურვილი. ფ. 1010.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 21 ოქტომბერს, 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება

ცნობილი ისტორიული პიესა

სამეგრელოს მთავარი ლევანი

დრამა 5 მოქ. ვან. ყიფიანისა.

მონაწ. ღებულობენ: ქ-ნნი აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე, ჯავახიშვილი ბ-ნნი: ადდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ყივიძე, სარაული, ციციშვილი ფალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

თეატრის დირექცია დაბეჯითებითა სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

ანონსი: ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს წარმ. იქნება ორი ახალი ორიგინალური პიესა: „**ოჯახი**"—ი. გედევანიშვილისა და „ბესალომის თმები"—ნ. ფიუკაშვილისა.

რეჟისორი **ფალიკაშვილი.** **(მიზან-სცენები ვალ. გუნიასი)**

ქართ. დრამ. საზოგ. აღმინ. 1554.

ავლაბრის სახალხო თეატრი (მურაშკოსეული, თელავის ქუჩა).

ავლაბრის ქართ. სახ. წარ. მმართ. წრისა.

კვირას, 21 ოქტომბერს,

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენ. იქნება

ქ. ა. დავითაშვილისა, ბ-ნთ ივანიძის და **შანშიაშვილის** მონაწილეობით,

ურიელ აკოსტა

ტრ გეთ. 5 მოქმედ. გუტკოვისა.

ბ. მიხეილ წულუკიძე განმარტავს ტრაგედიის შინაარსა და **მნიშვნელობას.** მონაწილეობას იღებს წრის დასი. ბილეთ. ფასი 4—50 კ. ლოჟები (4 ადგილი) 1 მან. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

1484. რეჟისორი **ი. ივანიძე.** მორიგი წევრი **თ. ზ. ნასიძე.**

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი.

კვირას, 21 ოქტომბერს, 1912 წ. ქართულ სახ. წარმოდ. მმართველ წრის მიერ, მსახ. ბ-ნ **ვ. გამყრელიძის** მონაწილეობით წარმოცგენილი იქნება.

ალლუმი

კომ.-ხუმრობა 4 მოქ. გადმოკეთ. ვ. გუნიის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ნარაკიძე, **პიერეტტა,** ს. რომანიშვილი—დგებუაძ სა, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი გ. ანაშვილი, **არშაკუნი,** დ. ბაქრაძე, **ვ. გამყრელიძე,** ი. ზურაბიშვილი, ვ. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, ნ. ჭანკვატაძე და ალ. წუწუნავა. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი 5 კ. ვიდრე ნ1 კ—მდე. რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

1499. შემდეგი წარმოდგენა 1 ნოემბერს. **„წრის" ადმინისტრაცია.**

კვირას, 21 ოქტომბერს, 11 საათზე სამეურნეო განკის სადგომში (სასახლის ქუჩა)

დანიშნულია

ლ. ზოგადი ჯრეკა

„განათლების" საზოგადოებისა. 1557.

გამოსულია და იყიდება

ნ. ფიუკაშვილის

პიესა „**ფეგოგროგა**", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ბაღლობლად დაიბრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 5, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ ან 8 საათამდე. უმოჩრილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ. დარჩენილი ვალი,** თანაბამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

ვაგზლის პერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 6[illegible]

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინ ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. და. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½

ბ. ა. ბოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. ფ[illegible]ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ეფ. ქალი იოსელიანისა—იღებს ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი ქირურგიული ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. ა. მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყველაცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი სათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგ.

ნამლობა „606"-ი[illegible] -18

ექიმი ქალი დ. ბ. საყვარელი

იღებს ავადმყოფებს ქალისა ბებია. ნაშუადღ. 1—2 ს., სას 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაზინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა. ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.

ბ. ბ. მეგრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 724

ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ექიმი ივ. ბოგმართელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ვერაზე, ოლგას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწავლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. **არ** იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა ჰ. ა. ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1049

ექიმი **კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი **ზ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. ვახტანგის ქ., № 6.

ექიმი **ჰ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. ბაღამ. 5—7. 1045.

ტფილისი, 20 ოქტომბერი

არჩევნების მოსალოდნელი შედეგი.

ყოველს ეჰვს გარეშეა ის ფაქტი, რომ დღევანდელი არჩევნები ს.-დემ. სრულის დამარცხებით გათავდება. ქუთაისში მათ ჰყავთ 12—14 ხმა; მაშასადამე, 20—21 ხმა მათ წინააღმდეგია და იმ ჯგუფს ეკუთვნიან, რომელსაც ჩვენ ვემხრობით. მაშასადამე ქუთაისის არჩევნები დამთავრდება ჩვენის ჯგუფის გამარჯვებით. რაიცა შეეხება ტფილისს აქ ძალთა განაწილება სხვა გვარია და ვერ ვიტყვით მას, რომ ჩვენი ჯგუფი იმარჯვებს. დეპუტატად ბ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იქმნება არჩეული... თუ... თუ არ მოხდა სხვა და სხვა კომბინაცია რომლის შედეგმაც შეიძლება დეპუტატობა ისევ ბ. კ. ჩხეიძეს შეანარჩუნოს, მაგრამ ეს ისეთი სამარცხვინო კომბინაცია იქმნება, რომ ამგვარად გამარჯვებულ ს.-დ.-ბის კანდიდატს შეუძლიან თამამადა სთქვას, რომ ეს უკანასკნელი ჩვენი ამგვარად ს.-დ. დამარცხდა ფაქტიურად, დამარცხდა ზნეობრივადაც. ცხადზე უცხადესია, რომ ვერც ჩვენ გავიმარჯვეთ სავსებით მით, რომ ქუთაისში ვერ გავიყვანეთ ჩვენი თავდაპირველად დასახელებული კანდიდატი, ხოლო ტფილისში ს.-დ.—ების „ბრძნულმა" ტაქტიკამ **იძულებული გაგვხადა** (ჩვენ ამ სიტყვებს ხაზს უსვამთ) ბ. ანდრონიკაშვილისათვის მიგვეცა ხმა, რომელიც კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, **ჩვენი კანდიდატი არ არის,** მაგრამ ვინც ცოტათი მაინც დაკვირვებულად უყურებს პოლიტიკურ ბრძოლას, ის დაგვეთანხმება, რომ ასეთი სავსებითი გამარჯვება შეუძლებელიც იყო.

ჩვენა გვგონია, რომ წლევანდელ არჩევნების წყალობით ჩვენ გავიარეთ მხოლოდ პირველი საფეხური ამ გამარჯვებისა. ს.-დ—ების დამარცხება მიგვაჩნია მიუცილებელ საჭიროებად ჩვენში ნამდვილის ფერ-უმარილ წაუცხებელ დემოკრატიის გამარჯვების ეტაპად. წრევანდელმა არჩევნებმა ერთხელ და სამუდამოდ დაგვარწმუნეს და ცხადჰყვეს ის ფაქტი, რომ ჩვენებური ს.-დ—ები პოლიტიკური პარტია კი არაა, რაღაც უცნაურ სექტას წააგავს და, ვიდრე ეს სექტა არ დამარცხდება და ამ დამარცხებით არ შეიგნებს თავის მომაკვდინებელ ცოდვებს, მანამდის ქართველი დემოკრატიის საქმე ყოველთვის საფრთხეში იქნება.

წრევანდელმა არჩევნებმა წამოაყენა ქართველ დემოკრატიის წინამე სრულიად გარკვეული პოლიტიკური დილემა: ან ცალკე ძალების დაქსაქსვა და ნახევრად გამარჯვება ან მთლად დამარცხება, ანა და შეერთება საერთო მტრის ბანაკის წინააღმდეგ, რომელშიაც შედოდნენ ისეთი თავზე ხელ-აღებული რეაქციონერები, რომლებიც შემოიკრიბა იმერეთში ვლ. მიქელაძემა და ნ. ნიკოლაძემ, ხოლო ქართლში ისეთი უიმედო გზაკვალ აბნეული „პროგრესისტები", როგორიც არის „ზაკავკაზსკაია რეჩი" და მისი სულის ჩამდგმელები. ამ ჯგუფს ჩვენში არივითარი ნიადაგი არა აქვს, და თავის დღეში ქართულ დემოკრატიას იგი არამც თუ ვერა სძლევს, ვერც კი გაუმკლავდება. მეტი ენერგიის გამოჩენა მათ არ შეუძლიანთ, რაც წრეულს გამოიჩინეს და მათი ენერგია სრულის მათის დამარცხებით გათავდა. ეს არ იყო რაიმე შემთხვევითი, არამედ სრულიად შეესაბამება იმ ძალთა განაწილებას, რომელიც ჩვენში არსებობს. ყოველ შემთხვევაში რეაქციონურ ძალთა თავის წამოყოფა, მათი ორგანიზაცია ისეთი ფაქტი იყო, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაეწია, რათა თუ სხვა არა, შეეძლო არჩევნებში დეზორგანიზაცია შეეტანა, რომელსაც საგონებელში უნდა ჩაეგდო დემოკრატიული ჯგუფები. ჩვენი ს.-დ—ტები, რომლებიც თავის ძლიერებით ყოყოჩობენ ყოველთვის უნდა ეფიქრათ მეორე დემოკრატიულ პარტიასთან თანახმად ემოქმედათ. ამის მაგიერ მათ დაუწყეს სამარცხვინო, გულის ამრევი ბრძოლა თავის მონათესავე პარტიას, საქვეყნოდ ლაფში ამოსვარეს იგი და ჩუმ-ჩუმად კი ისეთ ურცხვ რეაქციონერებს შეუერთდნენ, როგორიც ბ. ნიკოლაძეა (გაიხსენეთ ფოთის არჩევნები) დაამგვარად გაუწიეს მათ ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შავ-წითელი ბლოკი ებრძოდა ორივე ფრონტიდან ჩვენს ჯგუფს, გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა; ის კი მოახერხეს, რომ ჩვენი დასახელებული კანდიდატი პოზიციიდან გადმოაგდეს სხვა და სხვა საშუალებით, რომელსაც ისე უხვად იპოვით მესამე ივნისის არჩევნების კანონში. ვინ მოიგო ამით? არ ვიცით. ეს კი ნამდვილად ვიცით, რომ ს.-დ. სამარცხვინოდ დამარცხდნენ. ასეთ დამარცხების შემდეგ წელში გამართვა შეიძლება, თუ სავსებით შესცვლიან თავისს „ძველ რეჟიმს" და ძველ იაკობინურ ინსტიქტებს.

სულ სხვა რამ მოხდა ტფილისში. ტფილისში თავხედი არავინ გამოჩნდა. ჩვენს ჯგუფს ეჰირა არჩევნების სადავე ხელში. მან მოიწადინა ბ. ლ. ანდრონიკაშვილის კანდიდატად წამოყენება. ორჯერ იყო ბ-ნი ანდრონიკაშვილი ჩვენის ჯგუფისაგან წამოყენებული. თავის-თავად ცხადია მესამეჯერაც შეგვეძლო აგრე მოვქცეულვიყავით და კიდევაც გავმართეთ მოლაპარაკება ბ. ანდრონიკაშვილთან. ჩვენდა სამწუხაროდ მისი პასუხი თითქმის არჩევნების წინ დღეს მოგვივიდა. ამ პასუხის შემდეგ ცხადი შეიქმნა ჩვენთვის, რომ ბ. ანდრონიკაშვილს ჩვენს კანდიდატად არ ვასახელებდით. აქაც ჩვენმა ს.-დ.-კებმა თავისი ყოყოჩობით პოლიტიკური სიბეცე ჩაიდინეს. ჩვენ გვერდი აგვიხვიეს და გამართეს სამარცხვინო მოლაპარაკება ისეთ ელემენტებთან, რომელთაც გულზე დანათესობათ ქართველის ერის ინტერესების ხსენებაზედ. მაშასადამე მათის ხმის მოსაგებად საჭირო იყო ქართველის ერის ინტერესებით ვაჭრობა, ეს ვაჭრობა ჩვენ საზიზღარ ფაქტად მივიჩნიეთ და განვაცხადეთ, რომ ხელს ვერ შეუწყობთ დემოკრატიულის პრინციპების ბაზარზე გამოტანას და **იძულებული შევიქენით** ბ. ანდრონიკაშვილისათვის მიგვეცა ხმა.

მართალია, ბ. ანდრონიკაშვილი ჩვენი კანდიდატი არ არის, მაგრამ ბ. ანდრონიკაშვილი დემოკრატიის მტერი არ არის და ყოველივე იმ კანონ-პროექტის, რომელიც წარდგენილ იქმნება სათათბიროში და რომელსაც საგნად ექმნება დემოკრატიის გაძლიერება უეჭველად დაუჭერს მხარს. იგი უაღრესად ნიჭიერი და ბუნებით დაჯილდოებული პიროვნებაა, რომელიც უსათუოდ იქნება სამკაული დუმისა და სიმამაცე მთელის ერისა. მისის გონიერებისა და პოლიტიკურის სინიდისის საქმეა (ტ ეს ჩვენ გვრწამს, რომ იგი ამ გონიერებასა ტ სინიდისს არ უღალატებს), რომ მან ზურგი არ შეაქციოს ქართველი დემოკრატიის მისწრაფებას და თუ ამას ჩაიდენს ამით ქართველ დემოკრატიას ვერაფერს დააკლებს თავის თავს კი საუკუნოდ გაიბახებს.

ბ. ანდრონიკაშვილიც მართალია თუ ჩვენი კენჭები არ დაეხმარა, ისე ვერ გადის. ამგვარად ტფილისშიაც ჩვენ ვამარცხებთ ს.-დეკებს და ამაში ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენ და სამსახურს

უწევთ არა თუ დემოკრატიის საქმეს ჩვენში, თვით ეს.-დეკანეს... ხანდახან ურჩ ბავშვს მოუხდება სასტიკი დასჯა.

ესდეკანების სასტიკმა დამარცხებამ კი იგინი გონებაში უნდა ჩაადგოს. თავისი ტაქტიკა და პროგრამმა გადაათვალიერონ, თავი დაანებონ რუსის სოც.-დემოკრატების ყურმოჭრილ მონობას და ჩვენში აბსოლიუტურ-დესპოტობას. გაითვალისწინონ ის საფრთხე, რომელიც მოელის დემოკრატიას „ზაკავკაზსკაია რეჩში“ მოკალათებულ ვაჟბატონებისაგან და მიხვდნენ, რომ ქართულ დემოკრატიის საქმე მტკიცე და შეურყეველ ნიადაგზე დადგება მაშინ, როცა ორი უკიდურესი დემოკრატიული პარტია შეერთდება. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ჩვენი სოც.-დემოკრატები ქართველ ს.-დემოკრატებად შეიქნენიან, რომელნიც ქართველის ერის, ქართველის მშრომელის ხალხის სისხლითა და მამაცის მარჯვენით მოპოებულ ისტორიულ და ბუნებრივ საერო უფლებების დაცვას თავის დროშაზედ დაიწერენ.

თუ წრევანდელმა დამარცხებამ იგინი საგონებელში ვერ ჩაადგა, მაშინ მათი საქმე უიმედო იქნება, ხალხი კი თავის გზას მიაგნებს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ დღეს, 20 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, მოხდება ტფილისის საზოგადო კურიის ამომრჩეველების კრება და აგრედვე რუსთა კურიისაც, რომელზედაც მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს აირჩევენ: საზოგადო კურიის კრება მოხდება დეპუტატთა საკრებულოში. რუსთა კურიისა—ქალაქის გამგეობაში.

✦ კავკასიის ნამესტნიკის დასახვედრად, რომელიც დღეს ჩამოვა, ბაქოს გაემგზავრა ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ბარონი როოპი.

✦ **ტფილისის პოლიტეხნიკუმი.** ქალაქის საბჭოს მომავალი კრება ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს მოხდება საბჭო შეიმუშავებს მოწოდებას, რომლითაც სხვა და სხვა საზოგადოებასა და პირს სთხოვენ [illegible] მარება აღმოუჩინოს ტფ. პოლიტეხნიკუმს.

✦ **„საუნივერსიტეტო ადგილი“.** 22 ოქტომბერს ქალაქის გამგეობის წევრნი და საუნივერსიტეტო კომისიის წევრნი, ქალაქის ინჟენერი და მიწის მზომელი ნავთლუღში დაათვალიერებენ ეგრედ წოდებულ „საუნივერსიტეტო ადგილს“, რომლიდანაც გამოჰყოფენ 150 დესეტინას და ნაჩრებად დაჰყიდიან. აღებულის ფულით პოლიტეხნიკუმს ააგებენ და მოაწყობენ.

✦ **ექსკურსია.** დღეს, 20 ოკტომბერს, ტფ. ვაჟთა მეექვსე გიმნაზიის მოსწავლენი, რაცხვით 40 კაცი, მასწავლებლების მ. ა. ზდანოვიჩისა, მ. ა. კრასოვსკისა, კ. ს. დერჟავინისა და ა. ი. ხევსურიანის ხელმძღვანელობით ქუთაისის გუბერნიაში მიემგზავრებიან.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიას თითქმის ყოველ დღე კრება აქვს ქალაქის ხარჯთაღრიცხვის განსახილველოდ, კომისია სცდილობს, რაც შეიძლება, ხარჯი შეამციროს.

✦ **რეფერატი.** ამ მოკლე ხანში ქართულ სიმღერა-გალობის მცოდნე ი. კარგარეთელი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე წაიკითხავს რეფერატს ძველ ქართულ ნოტების შესახებ.

✦ საქართველოს ექსარხოსის დადგენილებით, წინამძღვარი შემოქმედის მონასტრისა **არქიმანდრიტი დოსითეოსი** მოწამეთის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

✦ გუშინ, ანჩისხატის ტაძარში გადაიხადეს **პანაშვიდი განსვენებულ დეკანოზ ზუმბულიძის სულის მოსახსენებლად.** დეკანოზმა თალაკვაძემ შესაფერი სიტყვა სთქვა. ხალხი ბლომად დაესწო.

✦ ტფილისში დაარსებულ **ვაჭართა ბანკის გამგეობამ** უკვე იქირავა ბინა ერევნის მოედანზე, ხაზაროვის სახლში, იქ-სადაც წინედ გაზეთ „კავკაზის“ რედაქცია და კანტორა იყო.

✦ რადგანაც სომხების ნერსესიან სემინარია ახალ შენობაში გადადის, ქალაქის გამგეობამ სემინარიის სამზრუნველოსთან მოლაპარაკება გამართა, რომ ძველი შენობა ქალაქს მიჰყიდონ. ამ შენობაში ზოგიერთ საქალაქო დაწესებულებების გადატანას აპირებენ.

✦ დღეს დილით, სახელმწიფო საბჭოს წევრის (ვაჭართა და მრეწველთა წარმომადგენელი) არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პეტერბურგს გაემგზავრა ტფ. ვაჭართა მამასახლისი.

✦ **ქალაქის საბჭოს კრება,** ორშაბათს უქმის გამო 25 ოქტომერს [illegible]

✦ **ფრინველთა გამოფენაზე,** რომელიც გუშინ წინ გაიხსნა ტფ. „კრუჟოკ“ის საზაფხულო შენობაში საგანგებო კომისია ექსპონატების შემოწმებას შეუდგა. გამოფენას ხალხი დაინტერესებულია და ყოველ დღე მრავლად დაიარება სხვა და სხვა ჯიშის ფრინველთა სანახავად.

✦ **ტრამვაის დაჯარიმება.** როგორც ვწერდით, 17 ოქტომბერს, საღამოს ექვსის საათიდან რვამდე, ტრამვაის ვაგონების მოძრაობა შესწყდა ელექტრონის ძალის უქონლობის გამო. ამისათვის ქალაქის კანტრალიორმა ალ. სარ. ლანდიამ ტრამვაის დირექცია 404 მანეთით დააჯარიმა.

✦ **პურის ნიხრის დარღვევისთვის** გუშინ ქალაქის მესამე უბანში სამს მეპურეს შეუდგინეს ოქმი. შეუდგინეს აგრედვე ერთს ჩარჩს.

✦ **ტფ. მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში** დაცლილია დირექტორის ადგილი. ამ ადგილზე გ. პ. მელიქ-კარანაზოვის კანდიდატურას ასახელებენ.

✦ ქალაქის აგენტებმა გუშინ ერთს სოფლელს უპოვნეს ფარულად დაკლულ საქონლის ხორცი (სამ ფუთამდე), რომელიც შესამოწმებლად ქალაქის სასაკლავოში გაგზავნეს.

✦ 18 ოქტომბერს ტფილისში 76 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ 18 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, იაკობ ფარსადანოვის სახლში (მოზდოკის მისახვევში) სინესტისაგან ჭერი ჩამოინგრა იმ ოთახში, სადაც შორაპნის მაზრის სოფელ გორისის მცხოვრები სამსონ ნიკოლოზის ძე ნახრაძე სცხოვრობს. არავინ დაშავებულა.

✦ 18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ტრამვაის ვაგონი № 35 მიხეილის პროსპექტზე დაეჯახა „შეშით დატვირთულ“ ფურგონს, რომელზედაც იჯდა სოფელ ნორიოს მცხოვრები დავით ლაზარეს ძე ნიკოლაიშვილი. ფურგონი დაიმტვრა, ნიკოლაიშვილი მსუბუქად დაშავდა, ხოლო ცხენები მძიმედ.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების** წევრთა საერთო კრება ხვალ, 21 ოქტომბრისთვის არის დანიშნული საზოგადოების საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად.

✦ ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, ტფ. **საბირჟო კომიტეტის სხდომა მოხდა.** კრებას თავმჯდომარეობდა ა. მილოვი და მონაწილეობას იღებდნენ აგრონომი ა. ქალანთარი და ბამბის მრეწველობის წარმომადგენელნი. ამ კრებაზე მსჯელობა იქონიეს კომიტეტის მდივნის გ. ი. ხატისოვის მოხსენების გამო: „ბამბის მოყვანა, მოხმარება და სახელმწიფო მიწების მოსარწყავად კერძო პირთა თვისგადაცემა“. მოხსენება მოიწონეს. დაადგინეს მოხსენება დაიბეჭდოს.

✦ პარასკევს, 26 ოქტომბერს. მიწათმოქმედების მთავარ. გამგის, [illegible] დება **კრება მეხილეობის საზოგადოების ამიერ კავკასიის განყოფილებისა.** კრება დაიწყება საღამოს 7½ საათზე სერგიევის ქუჩა სახ. № 9 განსახილველია: 1) მიმდინარე საქმეები, 2) განყოფილების თავმჯდომარის, მისი ამხანაგის და გამგეობის ოთხი წევრის არჩევნები; 3) ბ. ბაგრამოვის მოხსენება:—გორის მაზრაში ეხლანდელ მეხილეობის საქმის დაყენება. 4) დ. კაჩანოვის მოხსენება: კავკასიის შავქლიავა (გახმობის ცდა) და 5) გამხმარ. ხილის ჩვენება.

✦ დღეს, 20 ოქტომბერს, საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში, **მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების** ტფ. განყოფილების კრება მოხდება.

ქუთაისი

✦ 26 ოქტომბერს ტფ. სამოსამართლო პალატის სესია ქუთაისში **გაარჩევს პავლე სურუმავას და არტემ გვაზავას საქმეს.** საოლქო სასამართლომ ორივეს თხუთმეტ-თხუთმეტი წლით კატორღა მიუსაჯა გაბუნიას მოკვლისათვის. ბრალდებულთ იცავს ნაფიცი ვექილი გიორგი გყაზავა.

✦ ამ მოკლე ხანში **საბაჟო კომიტეტი** იმსჯელებს ჭიათურის ლიანდაგზე შავიქვის გადატანის ბაჟის დასადგენად.

ბაქო

✦ 18 ოქტომბერს, ქვემო თაზაფირის ქუჩაზე ბაბა ალი-მაჰმედისა და ნარვაზ ალი-ჰუსეინს ერმანეთისათვის **სროლა აუტეხიათ.** ათჯერ დაუცლიათ რევოლვერი. არავინ დაშავებულა. მსროლელნი შეიპყრეს.

გათომი.

✦ ადგილობრივ გიმნაზიის მოწაფენი დაითხოვეს, რადგანაც გიმნაზიის კედლები გარღვეული ყოფილა.

ბორი

✦ წ. კ. ს. გორის განყოფილებამ გადასწყვიტა, 27 ოქტომბერს გამართოს **ილიას საღამო.** ბ-ნი არბოელი წაიკითხავს რეფერატს, დასდგავენ „გლახა ჭრიაშვილს“, ილიას ლექსებს წაიკითხავენ: ია ეკალაძე, თედო რაზიკაშვილი, ბ. ქიტიაშვილი, მაჰავარიანი, ან. კასრაძე და სხვანი. იმღერებს ქართული გუნდი ბ-ნ ონიაშვილის ლოტბარობით. ბოლოს გაიმართება ანოთეოზი და ლეკური.

✦ გორში და მის გარშემო **ძალიან აცივდა.**

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი.

[illegible] სრულდა. ნათაძის მომხრეებმა მიიღეს 1850 ხმა, კიტა აბაშიძის მომხრეებმა—1482 ხმა. პირველ არჩევნებთან შედარებით კიტამ 260 ხმით მეტი მიიღო. ნათაძის მომხრეებმა—270 ხმით ნაკლები. შესაძლებელია, რომ სათათბიროს დეპუტატად კიტა აბაშიძის მომხრეებმა ვარლამ გელოვანი წამოაყენონ.

არჩევნები ჩვენში

ვარლამ ლევანის ძე გელოვანის სადეპუტატო კანდიდატად დასახელება.

როგორც დეპეშიდან ვიცით ქუთაისის ამომრჩეველთა ის ჯგუფი, რომელიც კიტა აბაშიძეს ასახელებდა, რაკი კიტა აბაშიძე ამომრჩევლად ვერ გავიდა, **დეპუტატად ასახელებენ ვარლამ გელოვანს.** გელოვანს გათავებული აქვს ქუთაისის გიმნაზია და შემდეგ ს.-პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტი. ს.-პეტერბურგშივე იყო შერიცხული ნაფიცთა ვექილის კორპორაციაში და იმავე კორპორაციის მდივნადაც იყო არჩეული. „თავისუფლების“ ხანებში იგი არჩეულ იყო ავტონომისტთა ბიუროს მდივნად, სადაც თავმჯდომარედ იყვნენ პროფ. ბოდუენ დე კურტენე და პეტრაჟიცკი. ბ. გელოვანი იყო აგრედვე მდივნად პირველისა და მეორე სათათბიროს ავტონომისტთა ფრაქციაში.

სრული იმედი გვაქვს, რომ ბ. ვ. გელოვანი მთელს თავის ძალასა და ღონეს მოანდომებს იმ დიად როლის აღსრულებას, რომელიც აკისრებს მას დღევანდელი არჩევნები. მთელ ამ არჩევნების დროს ჩვენი ხალხის გულის სიღრმიდან ისმოდა ძლევა-მოსილი დიდებული კვნესა შელახულის უფლების გამო და ამ უფლებების დაცვას მოითხოვდა იგი მედგრად და სასტიკად. დღეს არჩეულმა კაცმა უნდა ნათლად გაითვალისწინოს რა დიადია ეს მომენტი, სავსებით გაუწიოს მას ანგარიში და ხალხის მოთხოვნილება დაკმაყოფილოს, დიდი შრომაა ეგ შრომა, დიდი ხანი, დიდი ენერგია და დიდი ჯაფაა მისთვის საჭირო ორსა და სამ დღეში არ მოპოებულა ამგვარი რამ, მაგრამ დღეიდან იწყება ამ დიადი საქმის ქრონიკონი.

დარწმუნებული ვართ ბ. გელოვანი ამას შეიგნებს და თავის მოქმედებას შეუსაბამებს მომენტის სიდიადეს.

საზოგადოების მიმართ!

კვირას, 21 ოქტომბერს, დანიშნულია **„განათლების“** საზოგადოების წლიური კრება. ამ საზოგადოებამ იკისრა მეტად ძნელი საქმე—გაუძღვეს ისეთ სასწავლებელს, რომელიც [illegible] ჩვენი ოჯახისთვის, ჩვენი ცხოვრებისთვის გამოსადეგი შვილები.

ამ პატარა საზოგადოებამ თავს იდო დააყენოს მკვიდრად და დროს შესაფერად ღარიბ ქალთა სასწავლებელი დამთავრებული პროგრამით.

ეს პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმე შეადგენს ერთს ქვა-კუთხედს ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლისას და ბევრი ამისთანა კარგი საქმე ერთად შეერთებული გამოიწვევს მთელ ჩვენ ქვეყნის [illegible]

ამიტომ ეხლა სულიერად მთელმა ქართველობამ [illegible] ქმეებს გავუმაგროთ საძირკველი, გავხადოთ იგი შეურყეველად, ვუშველოთ ნივთიერად, დავეხმაროთ რჩევით, სიტყვით და ამითი სხვებიც წავახალისოთ, სხვა კარგ საქმეების დაწყებაში.

„გ[illegible]ნაოლ[illegible]ების“ საზოგადოების

გუ[illegible] შემა[illegible]კივარი წევრი.

სხვა და სხვა ამბავი

კიევის საკომერციო ინსტიტუტი.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კიევის საკომერციო ინსტიტუტის საბჭოს გაუგზავნა ბრძანებულება, რომ ებრაელ მოსწავლეთა რიცხვი ძალიან შემციროს, ასე რომ არ აღემატებოდეს ხუთ პროცენტიან ნორმას.

ამის გამო ვაჭართა და მრეწველთა კრების საბჭომ მიჰმართა დამატებითი ბარათით მინისტრს და აუხსნა საქმის ვითარება. კიევის საკომერციო ინსტიტუტი დაარსებულა კერძო პირთა თაოსნობით და განსაკუთრებით მოსწავლეთა შემოტანილ ფულით მიდის იოლას. 1912 წლის, 3 თიბათვის კანონით ინსტიტუტში უნდა დარჩეს მხოლოდ 5 პროცენტი ებრაელებისა. პირველ თიბათვეს, 1912 წელს ებრაელები შეადგენდნენ 60%, რიცხვით 1.888.

ამათში ყველა ხელს უწყობდა ინსტიტუტის დაარსებასა და გაფურჩქვნას. ვაჭარ-მრეწველთა კრების საბჭო სთხოვს მინისტრს, რომ მისცეს უკვე მყოფ სტუდენტებს სწავლის დასრულების ნება და შემდეგ წლიდან დააწესოს 10 პროცენტიანი ნორმა. ამას მოითხოვს საქმის ინტერესიო, დასძენს საბჭო.

ოქტომბრისტების კანდიდატი.

როგორც „ნოვოე ვრემია“ იტყობინება პეტერბურგის მეორე კურიაში ოქტობმრისტებმა სახელმწიფო სათათბიროში წევრის კანდიდატად დაასახელეს რ. რ. ანტროპოვი, ს. დ. გრიბოედოვი და ნ. ნ. ჭერკოვი.

ადმირალ ჩაგინის დაფლავება.

11 ღვინობისთვეს ნიკოლსკის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს ადმირალ ჩაგინის გვამი. დასაფლავებას დაესწრენ ძისი ძეგობრები და თანამოაზრენი.

საზარელი ამბავი.

ამ ცოტა ხანში მოსკოვში საზარელი ამბავი მოხდა. ივანოვმა მოჰკლა თავისი დედა. როგორც გამოირკვა მოკვლის მიზეზი დედის ლოთობა ყოფილა. შვილმა პოლიციაში განაცხადა, ბევრჯელ მიცემია დედისთვის და არ იცი ეხლა ცემისაგან რად მოკვდაო?! მკვლელი შეიპყრეს.

ჩვენი გელეტრისტები

ია ეკალაძის შემოქმედება.

(მოთხრობები. ტ. I, 1904 წ.)

I

„უმრავლესობას უყვარს რათა კარგი უსათუოდ კარგი იყოს, ცუდი კი—ცუდი და მას გაგონებაც არ ჰსურს, რომ ერთი და იგივე საგანი შეიცავს კარგსაც და ცუდსაც

ბელინსკი. ტ. 3, გვ. 39.

ბ-ნ ია ეკალაძის მოთხრობების გულდასმით გადაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ ავტორი უფრო პოეტი ლირიკოსია, ვინემ დინჯად, მყწობრად, ეპიურად მომთხრობი და ცხოვრების დამხატველი მწერალი—ბელეტრისტი. შეიძლება მკითხველს კიდევაც გაუკვირდეს, როდესაც ჩვენ პოეტ-ლირიკოსს უწოდებთ იმისთანა მწერალს, რომელსაც ერთი გარითმული ლექსიც არ დაუბეჭდია და რომელიც ჩვენს ლიტერატურაში მხოლოდ ბელეტრისტის სახელითაა ცნობილი, მაგრამ ვსთხოვ პატივცემულ მკითხველს მოგვისმინოს და მაშინ შეიძლება თითონაც დაეთანხმოს ჩვენს შეხედულებას.—ჩვენ ია ეკალაძეს უწოდებთ პოეტ-ლირიკოსს არა მეტაფორულად, არამედ ამ სიტყვის პირდაპირისა და ნამდვილის მნიშვნელობით. იმ დროს, როდესაც ჩვენში ყველა, ვისაც კი წერა-კითხვა უსწავლია, ვისაც კი შეჰყვარებია ვინმე, ან სატრფო ჰყოლია, მელექსეობს, პოეტობს, მომეტებულად სიჭაბუკის დროს, ია ეკალაძეს, ბუნებით პოეტ-ლირიკოსად დაბადებულს და მართლაც ნამდვილ ლირიკოსს, ლექსისთვის ხელი არ უხლია, არც ერთი გარითმული ლირიკული ლექსი არ დაუწერია, პოემა არ შეუქმნია და მისთვის შეუსაბამ ლიტერატურულ ფორმისთვის დაუხარჯავს ძალ-ღონე: ე. ი. ბუნებით პოეტს, ლირიკოსს დიდაკტურ და ტენდენციურ მოთხრობებისთვის შეულევია თვისი შემოქმედებითი ძალა. ამ ფაქტში იმალება კვანძი ბ. ეკალაძის შემოქმედების ხასიათისა; ამაშია უცნაურობა იმის შემოქმედებისა.

რომ ია ეკალაძე ნიჭიერი მწერალია, რომ მის ნაწარმოებს ეტყობა ნიშანი ზეციურ ძალისა—ეს ცხადზე უცხადესია. მაგრამ რომ ამ ნიჭს იმის მეათედიც არ შეუქმნია და არ მიუცია ჩვენს ლიტერატურისთვის, რის გაკეთებაც და შექმნაც შეეძლო; რომ მისი მოთხრობები, თვითეული და ყველა ერთად, არ წარმოადგენენ მთლიანს ხელოვნურს ნაწარმოებს, ფორმით მშვენიერს, იდეით ორიგინალურს,—ესეც ეკვს გარეშეა. ეს სამწუხარო მოვლენა, სხვათა შორის, იმითი აიხსნება, რომ ბ. ია ეკალაძეს თავის ნიჭისთვის სრულებით შეუსაბამო ლიტერატურულ ფორმისთვის მოუკიდნია ხელი. ვიმეორებთ მწყობრი, დამშვიდებული, ობიექტიური, უტენდენციო ცხოვრების აღწერა ან სხვა და სხვა მოვლენებზე და ფაქტებზე მოთხრობა მას ორგანიულად არ შეუძლიან. თავის ნაწერებში ავტორი მომეტებულ ნაწილში გაცხარებულად მსჯელობს, ღელავს, ბოროტებას პირდაპირ ჰკიცხავს, ძალმომრეობას მეხს აყრის, ფლიდობა-გაიძვერობას შეაჩვენებს, — პირ იქით პირდაპირობას, სამართლიანობას და გმირობას ჰიმნს უგალობს, ოდას უთხზავს. გრძნობა-აზროვნება ბ. ია ეკალაძისა ჩამოთვლილ შემთხვევებში თითქმის ყოველთვის საზღვრებში არ ეტევა, უკიდურესობამდის არის მიყვანილი, გადამეტებით ლირიკულია; ადგილ-ადგილ პუბლიცისტური და რეფლექტიურიცაა. ამისთვის მისი ნაწერები პოემაც არის, ოდაც, სატირაც, ელეგიაც, პუბლიცისტიკაც, მსჯელობაც და კერძოდ განსაზღვრულად არც ერთს დარგს არ ეკუთვნის.

ასეთი არა ჩვეულებრივი, წინააღმდეგობისაგან შემდგარ, ორიგინალობაშია ჩაქსოვილი ღირსება და ნაკლი ია ეკალაძისა. ამითი აიხსნება ის მოვლენაც, რომ საზოგადოებისა და პრესის შეხედულებაც მწერალზე უკიდურესობამდის სხვა და სხვანაირია. ზოგი მას მწერლადაც არ სთვლის და არავითარ მხატვრულ და იდეურ ღირსებას არ ჰხედავს მის ნაწერებში; ზოგი კი უზომოდ ხოტბას ასხავს, გადაჭარბებულად აქებს, პირველ-ხარისხოვან მწერლებთა რიგში ათავსებს... ჩვენის აზრით, პირველნი, ნებით, თუ უნებლიეთ, დიდად სცდებიან და უსამართლოდ „უგინებენ ჩანგს მგოსანს“; მაგრამ მეორენიც აჭარბებენ, აზვიადებენ სუბიექტიურის საზომით ზომავენ მწერლის შემოქმედებას და გადამეტებით იხიბლებიან პოეტის ნაწერებთა ზოგიერთ ადგილების სიმშვენიერით და არ ამჩნევენ ბევრ ნაკლს. ჩვენ გვსურს ამ წერილში გამოვსთქვათ, თუ კი შევიძელით და მოვახერხეთ, მიუდგომელი და ობიექტიური სიტყვა მწერალზე.

კერძოდ, ამას გვავალებს ჩვენ ია ეკალაძესთან სიყრმით თანშეზრდილობა და დღემდის უცვლელი და უანგარო მეგობრობა.

—

ია ეკალაძეში იბრძვის ორი მიმართულება, ორი სულიერი ძალთა განწყობილება, ორი პიროვნება: ღრმა მგრძნობიარე ლირიკოსი პოეტი და ცხოვრების ჭირ-ვარამში ჩახედული, უსამართლობით და სისაძაგლით გულმოკლული და დაფიქრიანებული მოქალაქე-მემატიანე. მწერლის თითქმის ყოველ ნაწარმოებშიაც სასტიკი ბრძოლაა გამართული, ბრძოლა მწერლისთვის შეუჭნეველ-შეუგნებელი, ამ ორ მიმართულებათა შორის. სადაც მთელს პოეტის ნაწარმოებს ლირიკული მიმდინარეობა აქვს, სადაც პოეტი სძლევს მოქალაქეს, პუბლიცისტ-მქადაგებელს და მორალისტს, იქ ია ეკალაძე შეუდარებელია, ნამდვილ მხატვრულ ძალას და შნოს იჩენს და მკითხველსაც ჰხიბლავს წმინდა, ნარნარი და ფიქიზის პოეზიით. იქ კი, იმ ნაწერებში, სადაც მორალისტ-მქადაგებელი სძლევს პოეტს, სადაც მწერალი, „ვენალის მათრახითაა“ აღჭურვილი მოქალაქობრივი წამოსასხამში გახვეული და მსჯელობს, პუბლიცისტობს, იქ ია ეკალაძე სუსტია, მშრალი მქადაგებელია. ავიღოთ მისი ესკიზი **„ჩემი ცოდვა გქონდეს“.**

მთელი ეს ნაწარმოები, რომელიც შესდგება თორმეტი გვერდისაგან, თუმცა მოთხრობის სახითაა დაწერილი, მაგრამ წარმოადგენს შეუწყვეტელ ლირიკულ მიმდინარეობას, ბუნების, სიყვარულის, იმედ სასოწარკვეთილების, ეჭვიანობა — მინდობილობის ფერადოვანი, ლამაზი და კოხტა ნაქსოვს და ნაქარგს. ამ ნაწარმოებში პოეტი ბატონობს და სწორედ ამისათვისაა ის ასე სასიამოვნო, აღმაფრთოვანებელი, გრძნობის დამტკბობი, გონების დამაკმაყოფილებელი, ფორმით ლამაზი, აზრით ღრმა და გამოთქმით ტკბილი. ეს ნაწარმოები ნამდვილი ლირიკული-ეპიური პოემაა და არა მოთხრობა, თუმცა გალექსით-გარითმული არ არის. აქ ეპოსი და ლირიკა ჰარმონიულად არის ერთმანეთში ჩაქსოვილ-გადადუღებული. ჩონჩხი მოთხრობისა ასეთია. გოგიძეს თავ-დავიწყებით და ღრმად შეუყვარდა გულ-ქვა თამრო. შეუღლებისათანავე თამროს დაჰქროლა „თავისუფლების“ ნიავმა, პროზით რომ ითქვას, თამრომ დაუწყო ქმარს ღალატი; სხვათა შორის, მან ქმრის მეგობარი—ბეჟო შეიყვარა. ერთ მთვარიან ღამეს გოგიძემ ეს შენიშნა. ამის შემდეგ, დაჰკარგა სიმშვიდე სულისა, იგრძნო სიმწვავე იმედის გაცრუებისა, და ეჭვიანობა სულიერ ტრაგედიად გადაექცა. მაგრამ გოგიძე მაინც იმედს არ ჰკარგავდა, თავს აჯერებდა შეიძლება სულ ტყუილი იყოსო. ერთ ღამეს გოგიძე ცოლის საწოლ ოთახში შევიდა და მძინარე ცოლს დაჰჩერდა. იმ დროს, როდესაც ის ფიქრს წაეღო და ვერ მიმხვდარიყო ღალატობდა ცოლი თუ არა... „უცბად მძინარე თამროს ტუჩები გაეპო, სახეზე ღიმილი შეუთამაშდა, სიამოვნებით ამოიქშინა და წამოიძახა:

„ბეჟო, ბეჟო ნუ გეშინიან, ჩვენ ბედნიერები ვიქნებითო“. „ჰმმ კბილების კრაჭუნით წამოიძახა მიშომ. სისხლი სახეზე მოაწვა, გული ჩაეთუთქა, შეეკუმშა, თითქო ჭახრაკები მოუჭირესო, სულთქმა გაუძნელდა, „ერთხელ კიდევ დაიბღავლა და იატაკზე გაიშხლართა. ის ლოგინად ჩავარდა და აღარც ამდგარა“. (70—71 გვ.).

თქვენ უნდა ნახოთ ეს ჩონჩხი რა მშვენიერს ცოცხალ ყვავილებიდან შეზავებულ ჩარჩოშია ჩასმული! ერთი ასეთი ცოცხალი და სურნელოვანი ყვავილთაგანია თამროს სილამაზის. მისი გულ-ცივობის და დაუნდობლობის ხელოვნური აღწერა.

„თამრო ლამაზი იყო, როგორც მოწყვეტილი ვარსკვლავი, ტურფა, როგორც შველის ნუკრი, ნაზი, როგორც მაისის ვარდი, ტანადი, როგორც ალვის ხე. იმისი შავი თვალები მორევი იყო ტრფიალებისა, გულმკერდი—ბუდე ვნებათა ღელვისა. მაგრამ იგივე თამრო გულ-ცივი იყო, როგორც სამარე, დაუნდობელი, როგორც ბასრი ხანჯალი, ცვალებადი, როგორც მატის დღე, ცქრიალა, როგორც ფრვანა და ჰირველული, როგორც ბატია ბავშვი. მისი ბროლი-ფიქალმკერდი ეშმაკებით იყო სავსე, მარჯვა ტუჩებზე ცბიერების ღიმი დაჰქროდა, მთელი მისი აზრები კი გალაბულიყო და თავისის სილამაზისთვის ქვეყანა დაუნაცვლებია“. (63 გვ.).

ასეთ გარკვეულად მომჯადოებელ და სულიერად კი მახინჯი ადამიანის ქსელში გაება მიშო გოგაძე, ღრმად მოყვარული, სულით და გულით მიდობილი და კეთილი ადამიანი. შენიერად აქვს პოეტს აღწერილი ალა ამ სიყვარულისა, რომლითაც გამსჭვალულია გული საბრალო“ გოგაძისი.

„მას შეუარდა თამრო ისე, რომ ჯოჯოხეთი მარწუხებიც ვერ ამოგლეჯდნენ გულიდგან იმის სიყვარულს. მოუყუვდა სილამაზით, მაგრამ ეს მტაცება ოცნებამ ნეტარებით გაიქცია. გულ-ქვა თამრო გულჩვილებაც განხორციელებულ სათნოებად მოეჩვენა, გარეგნობით ანგელოზმზგავსი—ზნეობის ღმერთად მოეჩვენა, თავისს პატიოსნება თამროს გულში გადაიტანა და მთელი თავისარსება თამროს შეუზავა. ხოლო რადესაც ეკლესიამ და ხალხმა დალანძეს იმათი შეუღლება, მაშინ ხომ ულ თავბრუ დაესხა, დარეტიანდა და ერთგულ შინაყმასავით დაეყო სამსახური. ბედნიერი იყო ამ დროს გოგაძე, ბედნიერი, და ეგონა კიდეც, რომ სიკვდილამდის ასეთ ნეტარებაში იქნებოდა... მაგრამ მეორე დროს ცვალებადობამ მოუარა: „მეორეს „თავისუფლების“ ნიავმა ბაგეთაგან მოჰხოცა პატიოსანი გულწრფელი ამბორი, ვნებათა ღელვის გრიგალმა გულიდგან აჰგლეჯა გოგიძის სახე და შორსადღაც უფსკრულში, გადაისროლა ალაჯებმა ქმარი ფეხის [illegible]

უწესოების მოლოდინში.

პეტერბურგში ხმები დადის, ვითომ სტუდენტები დემონსტრაციის გამართვას აპირობდნენ „დანიშნულ“ პროფესორების—უდინცოვის და ნიკონოვის წინააღმდეგო. ამისთვის ზემოდ დასახელებული პროფესორები ლექციებს პოლიციის თანადასწრებით წაიკითხვენ. ლექციებზე ათიოდე სტუდენტია ხოლმე მსმენელად.

ოსტრის თავის მოკვლა.

მიწის მზომელმა ოსტრომ პეტერბურგში თავი მოიკლა. მიზეზი თავის მოკვლისა ის არი, რომ მისი გამოგონილი საფრენი მანქანა უხეირო გამოდგა.

იუშჩინსკის საქმე.

გამომძიებელმა, ვისაც იუშჩინსკის საქმე ჰქონდა მინდობილი, მოიწვია კომისია, რათა გამოეკვლია ისტორიულ დოკუმენტების მიხედვით ებრაელების ურთიერთობა სხვა მორწმუნე ხალხთან და განსაკუთრებით ქრისტიან ხალხთან.

ამით ერთხელ და სამუდამოდ გამოირკვეოდა, ხმარობენ თუ არა ებრაელები ქრისტიანთა სისხლს ღვთის მსახურების მიზნისთვის. კომისიამ ეს საკითხი შეისწავლა და შემდეგი დასკვნა გამოიტანა: თალმუდი სასტიკად უკრძალავს ებრაელებს სისხლის ხმარებას სარწმუნოების წესის ასრულების დროს.

სავაჭრო და სამრეწველო კრების საბჭოს თხოვნა.

სავაჭრო და სამრეწველო კრების საბჭომ სთხოვა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს კიევის საკომერციო ინსტიტუტში დაწესდეს სახელმწიფო გამოცდა. მინისტრი ამ თხოვნას თანაგრძნობით მიეგება. შესაძლებელია თხოვნა შეიწყნაროს.

გენ. დრაჩევსკი.

პეტერბურგის გრადონაჩალნიკი გენ. დრაჩევსკი ეხლა თავის თანამდებობას არ ასრულებს. ხმებია, რომ დრაჩევსკი ადარ დაუბრუნდება თანამდებობას, რადგან კავკასიაში დიდ დანიშნულებისთვის იგზავნებაო.

კუდიაბკოს საქმე.

კიევის სამოსამართლო პალატაში წარდგენილია საბრალმდებლო ოქმი, სადაც კულიაბკოს აგვისტოს დღესასწაულისათვის გადადებულ ფულის გაფლანგვა ჰბრალდება.

ლიუცკანოვის ბულგარეთში წასვლა.

12 ღვინობისთვეს ბულგარეთის შინაურ საქმეთა მინისტრი ლიუცკანოვი პირდაპირ სოფიაში გაემგზავრა. მასზე დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ვერ მოუხდა მოსკოვში წასულიყო. ლიუცკანოვს გაჰყვა სოფიაში ბულგარეთის ელჩად ნამყოფ პაპრიკოვის ცოლი შვილებითურთო.

მხატვარი ბაკსტი.

მხატვარი ბაკსტი პეტერბურგში მოვიდა მაგრამ იქ წინადადება მისცეს მას 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინა პეტერბურგი. ბაკსტი ებრაელია და მისი ყოფნა პეტერბურგში, როგორც ებრაელისა, კანონით სასტიკად ეკრძალება.

ბერმონაზონი ილიოდორე.

13 ღვინობისთვეს უწმინდესი სინოდის სხდომა იყო. მოისმინეს არქიეპისკოპოზ ნიკოლოზის საჩივარი ბერმონაზონ ილიოდერეს საქციელის გამო. ილიოდორეს თმა გაუკრეჭია ტ წვერ-ულვაში მოუპარსავს. სხდომამ ფრიად გაიკვირა ილოდორეს საქციელი და დაადგინა, ეს ქაღალდიც მიემატოს ილიოდორეს საქმეს და დაუცადონ ვლადიმირის სასულიერო კონსისტორიის გარდაწყვეტილებას ილიოდორის საქმის გამო.

სხვათა შორის, საბლერმა განაცხადა, რომ ილიოდორესაგან ფრიად კეთილი და თავხედური წერილი მივიღეთ.

ბალკანეთის ომი

დ ე კ ე შ ე ბ ი.

ბულგარეთის მხრით.

სოფია. 18 ღვინობისთვეს ორი დღის ბრძოლის შემდეგ ბულგარებმა დაამარცხეს ოსმალეთის მთავარი ძალები. უკანასკნელნი უკან იხევენ. ლივლიბურგასი აიღეს ბულგარებმა.

სოფია. „მირი“ იტყობინება, რომ ბულგარეთის სახელმწიფო ბანკმა თვისი მოხელენი დაგზავნა ოსმალეთის დაჭერილ ქალაქებშიო.

სოფია 18 ღვინობისთვეს ბრძოლის ველზე მოვიდა მაკედონელი თავისუფალი ჯარის-კაცები.

სოფია. მოვიდა რუსეთის სასანიტარო რაზმები. მათ დაუხვდა რუსეთის ელჩი, ელეონორა დედოფალი.

სოფია. გაზეთი „მირი“ მეთაურში სწერს: თუ ევროპის დიპლომატიას გულწრფელად ჰსურს ბალკანეთში მშვიდობიანობა, უნდა დაივიწყოს ტერმინი „სტატუს-ქვო“-ო. არავითარ „სტატუს-ქვოს“ ლაპარაკი არ შეიძლება, როდესაც ბალკანეთმა ამოდენა მსხვერპლი შესწირაო.

სოფია. ბრძოლა, რასაც ლიულებურგასის აღება მოჰყვა, საშინელი მკაცრი იყო. ოსმალეთის ჯარი, ნაზიმ-ფაშა რომ უფროსობდა, ჩოლუსკენ წავიდა, მტრისაგან დევნილი. ოსმალებს ბევრი მოუკლეს და დაუჭრეს.

სოფია. ფიცხელი ბრძოლა ნოვობაზარში, კუმანოვში, კოჩანში, უსკუბში იმას ჰმოწმობს, რომ ოსმალეთის მთავარი ძალა სერბიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამიტომაც სერბიამ უფრო დიდი განსაცდელი გამოიარა, ვიდრე სხვა სახელმწიფომ. ეხლა კოსოვოს ვილაეტი სერბიელების ხელშია, სალონიკის ვილაეტის ჩრდილო ნაწილი ბულგარებისა. სერბია-ბულგარეთის შეერთებულ ჯარს უხდება ბრძოლა ოსმალეთის დაქსაქსულ რაზმებთან.

სერბიის მხრივ.

ვრანიე უმაღლეს სამხედრო მთავრობის ცნობით კუმანოვთან ბრძოლაში 2.500 სერბიელია მოკლული, დაჭრილი 500. ოსმალებს მოუკლეს 10.000.

ვრანიე. სააგენტოს კორესპონდენტს ეგაასა პაშიჩი. პაშიჩი დარწმუნებულია, ომი მალე დასრულდებაო, რადგანაც ადრიანოპოლის აღება ერთი-ორი დღის შემდეგ მოხდება და ამის შემდეგ კი ოსმალეთს ზავის ჩამოგდების მეტი არაფერი დარჩებაო.

სარაევო. სერბიელთა და მუსულმანთა ურთიერთობა ბოსნიაში აუტანელია.

საბერძნეთის და ჩერნოგორიის მხრით.

ათინა. ომის დაწყებისას ოსმალეთმა განაცხადა, რომ ხმები, ვითომ ქრისტიან ჯარის-კაცებს პირველ რიგში აყენებდეს ტყუილიაო. მაგრამ ხმები მართლდება. ომის დაწყების პირველ ხანებში სტამბოლის საავადმყოფოებში მყოფი დაჭრილების ოთხი მესამედი ქრისტიანები იყვნენ. ეხლა დაჭრილების ერთი მეოთხედი ქრისტიანები არიან სულ 582. ლარისანთა ბრძოლაში ტყვედ 52 ქრისტიანი წაიყვანეს. ბერძნებმა კოჟანში ოსმალებს 200 საწოლიანი საავადმყოფო წაართვეს. 500 ბერძენი, ოსმალეთის ჯარში რომ მსახურობდა, ბულგარეთის ჯარში გადმოვიდა. ოსმალებმა დასწვეს ქალაქი მეკელონი ეპირში.

ათინა. გრევენი ბერძნებმა აიღეს.

ცეტინიე. სამხრეთ ჯარის ნაწილმა 17 ღვინობისთვეს პალეის მახლობლად ოსმალთა რაზმს დაეცა. ოსმალეთის ჯარი იძულებული იყო სანჯავოდან წასულიყო.

ცეტინიე. ოფიციალი ცნობით 17 ღვინობისთვეს გენერალი ვუკოტიჩი ჯარით იპეკში შევიდა. ხალხი აღტაცებით მიეგება სლავიანთა ჯარს.

ოსმალეთის მხრით

სტამბოლი. აქ ირწმუნებიან, რომ ბულგარებმა ლიულე—ბურგასის მახლობლად დაიპირეს ბაბა-ესკი. ოსმალეთის მთავარი სადგომი ჩერკესკოში გადააქვთ. ბულგარეთის ჯარი სწრაფად წინ მიდის. ცენზურა სლავიანთა გამარჯვების ცნობების გავრცელებას ჰკრძალავს. კირკ-კილისესთან ბრძოლაში ოსმალებმა დაჰკარგეს 1600 ჯარის კაცი და 83 ოფიცერი.

სტამბოლი. მოვიდა 75 დაჭრილი ოფიცერი და 1.290 ჯარის-კაცი. დაკეტეს გაზეთ „თანინის“ გაგძელება „რაკი“. ხვალ გაზეთი გამოვა „რენინის“ სახელით.

სტამბოლი. ნაზიმ-ფაშას დეპეშა: ანდრიანოპოლთან ოსმალები თავს დაეცნენ ბულგარეთის ჯარს და აიძულეს კემალკოისკენ დაწეულიყვნენ. ოსმალებმა ბულგარები ჩენკასიდან გასდევნეს. სულთანმა დიდი მადლობა გამოუცხადა ჯარს გამარჯვებისათვის.

სტამბოლი. შესდგა ახალი კაბინეთი. დიდი ვეზირი ქიაძილ-ფაშა არის, შეიხ-ულ-ისლამი ჯემალ-ედინი. მინისტრები: გარეშე საქმეთა—ნურადუნგიანი, სამხედრო—ნაზი-ფაშა, ფინანსების—აბდურახმანი, ვაჭრობის—რეშიდ-ფაშა, საზღვაო—ხალისი, ვაკუფისა-ზია. შინაურ საქმეთა ნამინისტრალი, იუსტიციისა—არიფ-ხიკმენი, შინაურ საქმეთა—რეშიდ-ფაშა, საზოგადო საქმეთა ყოფილი თანაშემწე დიდი ვეზირისა ზია, განათლებისა—დამად-შერიფ, ფოჩტისა და ტელეგრაფისა—მუსურუსი.

სტამბოლი. საერთო არჩევნები ომიანობის გამო გადაიდო.

ომი და სახელმწიფონი.

ბუდაპეშტი. „ბუდაპეშტი-ნაპლო“ იარაღისკენ მოუწოდებს, რათა ხელი შეუშალოს სლავიანთა გაერთიანებას, რასაც ავსტრია-ჰუნგრეთს ხორვატიის, ბოსნიის და დალიაციის ჩამორთმევას უქადის.

ვენა. „ნეიეს-ვინერ-ტაგებლატში“ მოყვანილია სასულიერო პირის წერილი, თუ როგორ უყურებს კათალიკოსი ბალკანეთის ომს. კათოლიკეთა აზრით საჭიროა აღმოსავლეთში „სტატუს-ქვო“ დაიცვან.

შეფილდი. საზღვაო მინისტრმა ჩერჩილმა სიტყვა წარმოსთქვა. სხვათა შორის მინისტრმა სთქვა: ყველა სახელმწიფო დაინტერესებულია, იპოვნოს ისეთი ფორმულა, რაიც უზრუნველჰყოფს არა მარტო ორ მოპირდაპირე მხარეს, არამედ ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოსაკო. ომმა ბუნებრივად იფეთქა, და სულ ტყუილია მისი მოსპობა სადიპლომატო მოლაპარაკებითო. მოთმინება, სიფრთხილე და მშვიდობის მოყვარეობა კარგი რამ არის, მაგრამ ეს ცოტაა, საჭიროა ძალა და თავის ნდობაო, დააბოლოვა მინისტრმა.

პეტერბურგი. 18 ღვინობისთვეს პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა დაამტკიცა ქალაქის თვითმართველობის დადგენილება, გადაეცეს სლავიანთა სახელმწიფოების დასახმარებლად 100,000 მან.

ვენა. ოფიციალი ცნობა მოვიდა, რომ ვუკოტიჩის მეთაურობით იპეკი აიღესო.

ლონდონი. რეიტერი იტყობინება, რომ ავსტრია-ჰუნგრეთის შიში, ბალკანეთის ომში ჩარევისა უსაფუძვლოაო.

გაზეთებიდან.

ბულგარეთის მხრით

კირკილისეს აღების ამბები.

შემდეგი დაწვრილებითი ცნობები მოდის კირკილისეს აღების თაობაზე. სამშაბათ ღამე ბულგარებმა ოსმალების პირველ პოზიციას მიაღწიეს. ბრძოლამ მთელ ღამეს გასტანა. ბულგარები ხშირად ხიშტებით დაერევოდნენ ხოლმე. ბოლოს ბულგარებმა ოსმალებს აიძულეს უკან დაწეულიყვნენ. ოთხშაბათს დილით საშინელი ავდარი იყო. კოკისპირული წვიმა მოდიოდა, სუსხიანი ქარი ჰქროდა. ოსმალებმა რამდენჯერმე მოიწადინეს კირკილისიდან გამოსვლა ბულგარების თავდასაცემად მაგრამ ყველა ამაო იყო. საღამომდის გაჩაღებული ბრძოლა იყო. ბულგარები ქალაქის კარებს მიადგნენ. მათმა ჯარმა დაიპირა ადრიანოპოლში მიმავალი გზები. ღამემ მშვიდობიანად გაიარა. ხუთშაბათს დილით ოსმალებმა კიდევ განაახლეს თავდასხმა, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ბულგარეთის ჯარი ყოველ მხრიდან მიადგა ქალაქს და ძლიერი იერიში მიიტანა. ოსმალეთის ჯარი განადგურებული იყო. ამრიგად ბულგარებმა აიღეს კირკილისე. ვენიდან იტყობინებიან, რომ უკანასკნელ ცნობის მიხედვით ბულგარებმა შესამჩნევი ნაბიჯი წარსდგეს წინ ომის საქმეშიო. ადრიანოპოლის გარშემო მიდამოები ბულგარების ხელშია. ბულგარებმა აიღეს სიმაგრე ფაშა-შუსარი. ჩრდილოეთით ბულგარებმა აიღეს სიმაგრეები გავარსი და სუფილანი. ადრიანოპოლის აღების მოლოდინში არიან. ცნობაა, ვითომ ადრიანოპოლის ერთი უბანი ცეცხლის ალშია გახვეულიო.

ბულგარეთის ვენელი ელჩი ამბობს, რომ კირკ-კილისეს აღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსო. კირ-კილისეს აღების შემდეგ ბულგარები ადრიანოპოლს ალყას შემოარტყავენო.

სერბიის მხრით.

როდესაც სერბიელებმა პრიშტინე აიღეს ქალაქის მცხოვრებნი გამარჯვებულთ ჯვარითა და ხატით მიეგებნენ. ქალაქის წარმომადგენელნი მგრძნობიერი სიტყვებით მიესალმნენ სერბიელებს. ჯარის ფეოფანმა საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა: მან აღნიშნა სერბიელების მეფე, ხარწმუნეების პატივისცემა. ჯარის უფროსმა იმედი მისცა მცხოვრებთ, რომ პეროვნება არ იქნება შეურაცყოფილი და ქონებაც ხელუხლებელი დარჩებაო. ლაპარაკის დროს გაისმა ყიჟინა: „ჟივიო პეტრე მეფე, ჟივიო სერბიელები“ პრიშტინიდან ჯარის უფროსი მთელი შტაბით კასოვის ველზე წავიდა, სადაც ინახულა სერბიის ძველი გმირების სამარე.

ომი და სახელმწიფოები.

„სტატუს-ქვო“ და ბალკანეთი.

პარიზიდან „რეჩს“ კორესპოდენტი ატყობინებს ბალკანეთის დიპლომატის ნალაპარაკევს. ამ დიპლომატს პუანკარესთვის უთქვამს, რომ ფორმულა „სტატუს-ქვო“ ეხლანდელ დროს ფრიად უსარგებლო ფორმულაოა. რაც უნდა მოხდეს, ვის შეუძლიან ძლევამოსილ ბალკანეთის ხალხს წაართვას მათი თავგანწირული ბრძოლის ნაყოფი?! დეე, ევროპას ნუ დაავიწყდება, ბალკანეთში 600.000 ჯარის კაცი, გაბრუებული და დამთვრალი მზად არის ომი განაგრძელოსო. ევროპას დასჭირდება ამდენივე ჯარი გაგზავნოს ბალკანეთშიო. მაგრამ მაშინ ხომ მშვიდობიანობა დაირღვევაო!

საფრანგეთი.

„უნდა გაიჭრას გორდიის ნასკვი—ოსმალეთის დაყოფვა აუცილებელია“,—ასეთია საფრანგეთის პრესის დედა-აზრი ბალკანეთის კავშირის გაშარჯვებას შემდეგ. ევროპის კონცერტის ფორმულა—რაც უნდა დაჯდეს, statu quo უნდა დავიცვათო—უკვე დაძველდა. ვერავითარი ძალა ვეღარ აიძულებს ბალკანეთის კავშირს კომპრომისული წინადადების მიღებას მაკედონიისათვის. ოსმალთა გამარჯვების შესახებ ფიქრიც კი სისულელეა. რამდენიმე კვირის შემდეგ ბულგარები სტამბოლის ზღუდესთან იქნებიან და ევროპის სახელმწიფოები ტ დიპლომატია მზად უნდა იყვნენ ოსმალეთის მოსალოდნელ დაყოფისათვის.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

19 ოქტომბერი.

ბერლინი. მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ. დაშავდა 44. მძიმედ დაშავებულია 5 კაცი.

დანციგი. მემკვიდრე ჩამოვარდა ცხენიდან და მსუბუქად დაშავდა თავში.

ნატეხრფლად მოაჩვენეს, თამრომაც მოუსვა ცოცხი და ქარ-ბუქს მისცა იმისი სულით და გულით მოსიყვარულე არსება, მოახტა ეშმაკის ცხენს და სამუდამოდ დაიკარგა გოგიძესათვის. დღეს გოგიძე იმისთვის ძველი თოფრა-და იყო, რომელიც თვისმა პირველმა გატაცებამ, ერმა და თემმა ხელში მისცეს. გოგიძეს კი ისევე უყვარდა პირველის გიჟურის სიყვარულით. ქვეყნად იმისთვის არა არსებობდა-რა თამროს გარდა, და თუ ცხოვრებაში თვის ტოლსა, ამხანაგს, ხალხს და თემს ხვდებოდა, ესენი მარტო თავისის ბედნიერების მოწმედ მიაჩნდა და პატივს სცემდა იმდენად, რამდენადაც მისი შეყვარებული გული ნებას აძლევდა, და გული კი ისეთი ჩვილი, ისეთი ლმობიერი შეექმნა, რომ მზად იყო ყველას წამლად დასდებოდა, ოღონდ თამროს ნურავინ შეუგინებდა. მიშო თუ დღეს კაცობდა, თამროს მეოხებით, თუ ხალხს და საზოგადოებას ემსახურებოდა, თამროს სასახელოდ, თუ სცოცხლობდა—თამროსთვის“.

თამრო კი დიდი ხანია ღალატობდა „საბრალო“ გოგიძეს. ერთ დღეს, როდესაც სამსახურიდან ბრუნდებოდა გოგიძე თამროს და მისს საყვარელს წააწყდა.

—„ვაიმე აგერ მოდის... მგონი დაგვინახა! წამოიძახა ქალმა და ყმაწვილ კაცს საჩქაროდ ხელი გაუშვებინა“.

ამ სიტყვებმა სამართებელსავით დაურა გოგიძეს. შავმა ფიქრებმა იმისი არსება არივ-დარია. გულზე ლოდივით დააწვა და არჩობდა, სხეულმა ჩხვლეტა დაუწყო, თითქოს გახურებულს შამფურებს უტარებენო.

ავტორს ბუნებრივად, სადად, მაგრამ ადამიანის სულის ღრმა ცოდნით და ხელოვნურად, აქვს გაკეთებული ანალიზი რწმენა—იქვიანობისა და იმედების გაცრუებისა. თქვენ თანაუგრძნობთ, გესმისთ ტანჯვა და ვაება „საბრალო“ გოგიძისა; თანაუგრძნობთ იმისთვის კი არა, რომ, როგორც მამაკაცმა, მან თვისი თანამეცხედრე დედაკაცი დაჰკარგა; გესმისთ იმისი ტანჯვა, არა როგორც თავმოყვარეობა შელახულ ადამიანისა, რომელიც სხვაზე გასცვალეს, არა,—თქვენ გოგიძე იმისთვის გებრალებათ, რომ გრძნობთ მისი სიცოცხლის შეუძლებლობას, უაზრობას, ვინაიდგან თამროს ერთგულებასიყვარული მისი სიცოცხლის ერთად ერთი წყარო იყო. მართლაც ღალატმა მოუღო ბოლო გოგიძეს, მოშორდა ტანჯვას; მოსიყვარულე და პატიოსანი გული ჩქარა, განადგურდა.

რას გრძნობდა თამრო? როგორ იმოქმედა მაზე მისივე გაუტანლობით და ზნე დაცემულობით დამწვარი და ასე ადრე დამიწებული გოგიძის სიკვდილმა?...

„სტიროდა დედა, სტიროდა არე—მარე და, ღვთის წინაშე, თამროც კი სტიროდა“-ო.

გვამცნევს ავტორი. უეჭველია, დიდხანს არ გაგრძელდებოდა ეს ტირილი გულიცივი და გაუტანელი დიაცისა... მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ავტორი, რადგანაც მისგან ლამაზად და პოეტურად გამოთქმულის სადა სიტყვით გადმოცემა დამახინჯება იქნება მშვენიერი და ხელოვნური ნიმუშისა. გარდა ამისა ის ადგილი, რომლის ამოწერა ჩვენ გვინდა, საუკეთესო გაპიროვნებაა ბუნებისა, რომელიც ავტორის შეხედულობით, გრძნობს ადამიანთა დამოკიდებულებას და თვის თანაგრძნობას უცხადებს დაჩაგრულთ და წამებულთ. აღწერა-რა მშვენივრად ზაფხულის საღამო, ავტორი განაგრძობს...

„ნეტარება იყო ეს ღამე, და აკი თამრო და ერთი ყმაწვილი კაციც ნეტარებდნენ. თამრო დაყრდნობოდა ამ ყმაწვილი კაცის მხარეს და განაბულის თვალებით შესცქეროდა იმის მოხდენილს სახეს. თავდახრილი ყმაწვილიც ჩაჰკვირებოდა თამროს მაყვალა თვალებს და საყვარელს ლექს ჩასჩურჩულებდა. ცოტა კიდევ, და ეს ორი აღელვებული არსება ერთმანეთს ჩაეკონენ. ჰაერში კოცნის ტლაშანი გაისმა. ამ ხმაზე მიდამო შეინძრა, მძინარე ნიავი გაგიჟებული წამოიჭრა, გაბრაზებულმა მოსხლიტა ეს გატაცებული კოცნა და მდინარის ნაპირზე საძილედ მომზადებულ გულ-მკერდ გადასხნილს ყვავილს სტკიცა, ყვავილმა წამოიბზიალა, დაზნიქა და სიბილწის მოსაშორებლად მდინარეში ჩაიყურჭუმალავა. ანკარაც გაცოფდა, ძალზე დაიბუტბუტა და გაბილაბილდა, ალბად ისევ ყველას გამასწორებელ და ყოველისფრის დამავიწყებელ, გულგრილ მიწას თუ მიაბარა თავის ზვირთებში ჩანაბანი ამბორი. მთვარე ღრუბლებს მოეფარა, ვარსკვლავები მიილულნენ, ნიავი გაბრაზიანდა და მიდამომ შრიალი ასტეხა. ბუნება შეიცვალა. თამრო და ყმაწვილი კაცი კი ხელი-ხელ გადაქდომილნი ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ. ეტყობოდა, შინ წასვლას არ აპირებდნენ. იმისიც კი არ ეფიქრებოდათ, რას სისინებდა მახლობლად სასაფლაოდან მონაბერი ნიავი. თამროს რომ მაინც დაეგდო ყური, ნათლად გაარჩევდა მიშოს ხმას: „ჩემი ცოდვა გქონდეს, ჩემი ცოდვა გქონდეს.!“

გულახდით უნდა ვსთქვათ, ჩვენს მწერლობაში არ შეგხვედრია ასეთი ღრმა აზრიანი და თან მშვენიერი გაპიროვნება ბუნებისა! ვინ იტყვის, რომ ზემოდ ამოწერილი პწკარების დამწერი ბელეტრისტია და არა პოეტ-ლირიკოსი?

ბუნების აღწერა ჩვენს ლიტერატურაში თითქმის საჯიბრო, სასპორტო საგანია. ჩვენში, ნიჭიერი და უნიჭო, დიდი და პატარა,—ყველა ცდილა და ცდილობს აღგვიწეროს მრავალ-მხრივ და მრავალ გვარ ბუნების ძალთა და მოვლენათა სიმშვენიერე, სინარნარე, სილამაზე, მომხიბვლელი ძალა, ანდა სიმკაცრე, გულცივობა და სხვა და სხვა... და ღვთის წინაშე, ჩვენს ლიტერატურაში ბევრი შეგხვდებათ ლამაზი და კოხტა ბუნების აღწერა. რასაკვირველია, ჩვენს პოეტებს ხელს უწყობს შეუდარებელი სიმშვენიერე თვით „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტი“ მათივე სამშობლო... ბუნების აღწერა სხვა და სხვა ნაირია, სხვა და სხვა ფერია. უმთავრესად შეგხვდებათ ორნაირი აღწერა ბუნებისა: ბაირონისებური და პუშკინისებური. ბუნების მედიდურ სურათებში, რომელსაც ხატავს თავის ნაწარმოებში ბაირონი, ჩვენ ვამჩნევთ არა მარტო პოეტის ესთეტიურ გრძნობას: მისგან დახურულ ბუნების დიად და ზომჯადოებელ სურათებში, გარდა მგზნებარე სიყვარულისა, მუდმივ გამოსჭვივის და აშუქებს ჭკვიანი აზრი. ბაირონი ბუნების აღწერაში ყოველთვის უპირისპირებს წმინდა, ღვთისაგან შექმილ, ბუნების სილამაზეს ადამიანთა—ამ უმაღლეს არსებათ—გახრწნილების და ღრმად დაცემას.

პუშკინისთვის კი ბუნების აღწერას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ, როგორც სურათებს. ბუნების სიმშვენიერე არ აღელვებს, არ იწვევს პუშკინის აზრ-გონებას კითხვათა სარკვევად, არ გადააქანებს ადამიანთა ცხოვრების მწვავე კითხვების სამფლობელოში, — ბუნება მხოლოდ აწყნარებს, დამამშვენებელ „ნანას“ უმღერის პოეტის გრძნობას, ამ შემთხვევაში პუშკინი მხოლოდ ლანდშაფტის მხატვარია, რომელიც ამჩნევს სიმშვენიერის უმთავრეს თვისებას და რომელიც ყოველივე იდეის გარეშე ნარნარ ესკიზში გადაშლის მშვენიერს სურათს და არა მხატვარი მოაზრე, რომელიც თვის ნაწარმოებში გამოხატავს ღრმა და ჭკვიანურს ფიქრს და ზრახვას. პუშკინისთვის საკმარისია მხოლოდ სურათი: ის წყნარდება და კმაყოფილდება, როდესაც ჰქმნის ნარნარ და სასიამოვნო სურათს. ასეთი პროცესი აკმაყოფილებს მის გრძნობას. პუშკინი, კმაყოფილია დახატული სურათით, მზად არის ბუნების „წიაღსა-შინა დაიძინოს“ თავისებურის „მკვდრის ძილით“.

მომეტებულს შემთხვევაში ჩვენს ბელეტრისტების ტ პოეტების ნაწარმოებში ერთ-ერთ აქ აღნიშნულ ბუნების აღწერას აქვს დათმობილი უმთავრესი ადგილი: ზოგის ნაწარმოებში ბაირონისებური ხასიათის ბუნების აღწერა სჭარბობს, ზოგის —პუშკინისებური. ბაირონისებური ხასიათის ბუნების აღწერას ჩვენ შევხდებით ნიკ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, რამოდენიმეთ აკაკის, იაზიბეგის, ვაჟა-ფშაველასი, ევდოშვილის, შანშიაშვილის, რუხაძის, აბაშელის და სხვათა პოეზიაში. პუშკინისებურ ბუნების აღწერას კი ვხედავთ ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, გ. წერეთლის, განსაკუთრებით კი, რ. ერისთავის, გრიშაშვილის და სხვა პოეზიში.

ბ. ია ეკალაძის პოეზიაში კი ორივე ხასიათის ბუნების აღწერა ჰარმონიულად და თანაბრად არის შეკავშირებული. ჩვენი ავტორი ზოგიერთ თავის ნაწარმოებში ბუნებას ასულდგმულებს, ადამიანთა გრძნობით ამკობს, ადამიანთა უუწმინდეს ზნეობრივ განცდით, აზრით და ზრახვით ცისკროვნებს. ასეთია ზემოდ ამოწერილი ადგილები „ჩემი ცოდვა გქონდეს“ განნ. ქმრის მოღალატე და მიზეზი ადამიანის უდროოდ დაკარგვისა—თამრო, და ამხანაგის პატიოსნების შემგინებელი უსინდისო ბეჟო გოგიძის სიკვდილის შემდეგ ერთმანეთს გადახვევიან და სიყვარულის ლექს ჩასჩურჩულებენ... მერე ორი პირუტყვის ნდომით და ჟინით გატაცებული ადამიანები ერთმანეთს ჩაეკონენ... ჰაერში კოცნის ტყლაშანი გაისმა... ჰქონდათ კი მათ ზნეობრივი უფლება მას შემდეგ, რაც ჩაიდინეს განეცადათ ასეთი წუთი ბედნიერებისა? რასაკვირველია, არა. მათ რომ ცოტათი მაინც შერჩენოდათ ადამიანობა, არ დაეხშოთ სინიდისი და მარტო სქესობრივ ჟინს არ გაეტაცნათ, ისინი ასე უდარდელად აუშფოთებლად არ მიეცემოდნენ განცხრომას... სჩანს, მათი სვინდისი დამწვარა, მიფერფლილა და შერჩენიათ მხოლოდ ღა ფიზიოლოგიური, პირდაპირ რომ ვსთქვათ, პირუტყვული ვნებათა ღელვა. არავინ იყო ქვეყნად, რომ თამროს და ბეჟოს სამარცხვინო ბოროტება, გარყვნილება, დაუნდობლობა და ღალატი საჯაროდ ემხილებინა და მით ზნეობრივი სასჯელი მიეყენებინა დამნაშავესთვის. ეტყობა, რომ არავინ იცოდა ნამდვილი მიზეზი გორგიძეს უბედურობისა: მას საფლავში ჩაუტანია თავისი უჩინარი, მაგრამ საშინელი ტრაგედია. საბრალოს თანაუგრძნობს, ჭქომაგობს მხოლოდ ბუნება: მძინარე ნიავი, მდინარის პირს მდგარი ყვავილი, ანკარა წყარო, მიწა, მთვარე, ვარსკვლავები ზიზღით შეჰყურებენ დამნაშავე მიჯნურთ და მათ გარყვნილ, მაგრამ გატაცებულ, კოცნას მიწას აბარებენ, წუმპეში გადაისვრიან...

(შემდეგი იქნება)

იპ. ვართაგავა.

უტიკა (შეერთებული შტატები). გარდაიცვალა შეერთებულ შტატების ვიცე-პრეზიდენტი შერმანი.

კაირი. ოსმალეთმა ეგვიპტეს შველა სთხოვა. მოლაპარაკება სწარმოებს ლონდონსა, კაირსა და სტამბოლს შორის.

რ უ ს ე თ ი

მემკვიდრის ავადმყოფობა.

პეტერბურგი. ბიულეტენი მემკვიდრის ავადმყოფობისა. დილის ათი საათი. 18 ღვინობისთვე. მემკვიდრეს ბევრი ეძინა და უშფოთველად. თან და თან ფერზე მოდის. დილით სიცხე 36,8 გრ. ჰქონდა, მაჯის-ცემა 112.

პეტერბურგი. ბიულეტენი მემკვიდრის ავადმყოფობისა. საღამოს შვიდი საათი, 18 ღვინობისთვე. დღე კარგა გაატარა. სიცხე დღისით 36,9 გრ. საღამოთი 37,1 გრ. ჰქონდა. მაჯისცემა 112.

დეპუტატის არჩევნები.

ვილნა. რუს მცხოვრებთა სახელმწიფო სათათბიროს წევრად აირჩიეს ზამისლოვსკი, მემარჯვენე, და იუზვიუკი მემარჯვენე მღვდელი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუბერნიის ამომრჩევლებმა აირჩიეს მემარჯვენე ტიატინინი, ვაჟარი, ბარაჩი, მემარჯვენე, მოსეევი, მემარჯვენე, ალბიცკი, მემარჯვენე, გორბატოვი; არჩევნები გრძელდება.

პსკოვი. გუბერნიის ამომრჩევლებმა სახელმწიფო სათათბიროს წევრად აირჩიეს ევდოკიმოვი, მემარჯვენე, დერიუგინი მემარჯვენე; ლვოვი, მემარჯვენე, ზარინი, ნაციონალისტი, თავადი შახოვსკოი, მემარჯვენე.

სმოლენსკი. გუბერნიის ამომრჩევლებმა აირჩიეს ფილგინი, მემარჯვენე: ხომიაკოვი, ოქტომბრისტი, კოლესნიკოვი, ოქტომბრისტი, ლელიუხინი, ოქტომბრისტი.

ეკატერინოსლავი. საგუბერნიო ამომრჩევლებმა აირჩიეს სახელმწიფო სათათბიროს წევრად: პეტროვსკი, სოციალ-დემოკრატი; მოვოგონი, მემარჯვენე, როდზიანკო—ოქტომბრისტი; ფილატოვი—პროგრესისტი, ალექსანდროვი — კადეტი, ალექსეენკო, ოქტომბრისტი, პაპჩინსკი, ოქტომბრისტი, ნეეფმაკოვი—ნაციონალისტი.

გაზეთების დაჭერა.

პეტერბურგი. დაიჭირეს გაზეთები „ლუჩი“ და „პრავდა“.

პეტერბურგი. სინოდმა ცარიცინის სვიატოლუბოვის კაცთა მონასტერი საქალო მონასტრად გადაიკეთა.

სკვერნევიცი. მოვიდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი. მინისტრი აქედან ავტომობილით სპალაში წავა.

უცხოეთი

პრუსიის ლანდტაგი.

პრუსიის პალატის პრეზიდენტი ბარონ ეფა გარდაიცვალა. მის ალაგას აირჩიეს კონსერვატორებში ფრიად ცნობილი და პატივცემული გრაფი შვერინ-ლევიცი. პალატის დეპუტატების ერთ მესამედს კონსერვატორები შეადგენენ და ამისთვის საკვირველი არ არის, შვერინ-ლევიცი რომ აირჩიეს თავმჯდომარედ მაგრამ საქმე ის არის, რომ მისი არჩევა ინტერესს მოკლებული როდი იყო და პატარა „საარჩევნო აღლუმი“ გაიმართა. კონსერვატორების ბანაკში პაწაწა განხეთქილება მოხდა. ზომიერი კონსერვატორები ზომიერ შვერინს ესახელებდნენ. ცოტა მემარცხნე კონსერვატორები კი მის კანდიდატურას ალმაცერად უყურებდნენ და თავიანთ კანდიდატს ფონ-ბრანდშტეინს ასახელებდნენ. ამასთანავე ერთად კონსერვატორებს უხდებოდათ ბრძოლა მემარცხნეებთან და სოციალ-დემოკრატებთან. მიუხედავად იმისა რომ შვერინი კონსერვატორია, ეს მაინც არ უშლის, სხვა პარტიის დეპუტატს რბილად და კარგად მოექცეს. პრუსიის ლანდტაგს წინადაც უნახავს შვერინი თავმჯდომარის ალაგზე და სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია ყველა დეპუტატისა განურჩევლად პარტიისა. სანამ თავმჯდომარის არჩევნები მოხდებოდა კონსერვატორებმა კავშირი დაიჭირეს ესდეკებთან და სთხოვეს. არავითარი წინაღმდეგობა არ გაეწიათ შვერინის კანდიდატურისთვის მიიღეს მხედველობაში შვერინის კაცთმოყვარე პიროვნება, სოც.-დემოკ. თანხმობა განუცხადეს და არჩევნების დღეს არც კი გამოჩენილან დარბაზში. ამ გვარად პრუსიის ლანდტაგის ისტორიაშია ფრიად საგულისხმო ამბავი მოხდა. კონსერვატორებმა სოციალ-დემოკრატების დახმარებით თვისი კანდიდატი გაიყვანეს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს, 20 ოქტომბერს, ქართულ თეატრში, დანიშნულია ფრიად საგულისხმო **ქართული კონცერტი ბ-ნ კ. გ. ფოცხვერაშვილისა.** იმედია საზოგადოება ღირსეულ გულისყურს მიაქცევს ამ მართლაც ღირსეულ კონცერტს და ესთეთიურ სიამოვნებით დატკბობას არ მოაკლდება. სხვათაშორის შეასრულებენ **ბ-ნ ფოცხვერაშვილის** ახლად შემუშავებულ სამუსიკო ესკიზს **„თქმულება ამირანზე“, ბალანჩივაძის „დავლური და ლეკურის“,** ოპერა (**„თამარ ცბიერიდან“**).

სახაზინო თეატრი. დღეს, 20 ოქტომბერს, ბ-ნ ივ. ჰ. ფალიაშვილის ლოტბარობით დასდგავენ „T-te მოტფილეი“-სადა საბალეტო დივერტისმენტს.

სახალხო სახლი. კვირას 21 ოკტომბერს ქართ. სახალ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახ. ვ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **„ა ღ ლ უ მ ი“** კომ.—ხუმრობა 1 მოქ. გად. ვ. გუნიას მიერ. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ახლო მომავალში წარმოდგენილი იქნება პირველათ ქართულ სცენაზე „უმუშევარნი“ „Безработные“ რომელმაც შემოიარა ყველა რუსეთის თეატრები. პიესა თარგმნა ლ. ცაგარელმა.

განზრახულია წარმოსადგენათ „ისმინე ისრაილ“ და „ებრაელები“.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ქვემო-აღნიშნულ დაწესებულებას და იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და დახმარება გაუწიეს სოფელ ძევერის უფასო სახალხო სამკითხველოს.

ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ 15 მანეთის ღირებული წიგნები, კ. ს. ჯავახიშვილმა (ლაბორანტმა მოსკოვის უნივერსიტეტისამ) 4 მან. ღირებული წიგნები, ალ. ნ. ჯავახიშვილმა—20 მან., და 50 კაპ. ფულად და ექიმმა დ. ვ. ჯავახიშვილმა 5 მან. ფულად.

სოფ. ძევერის სამკითხველოს გამგე. **აუჩილ ჯავახიშვილი.**

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო პატივცემულ ბ-ნ ისაია ფურცელაძეს, რომელმაც ს. მერეთის სკოლისათვის იყიდა სასწავლო ნივთები, სკოლას გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ და სხვაფრივაც დიდს დახმარებას აუწევს **მ. ტ.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაღეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 7 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, ღილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარეკი** № 106. ღამ. 5 ს. 53 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, ღამ. 4 ს 20 წ. **სახ.** № 5, ღამ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 7 ს. 54 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ერევნისაკენ: საფ. № 4/3, ღამ. 1 ს. 16 წ. **სახ.-საბ.** № 8/7, ნაშ. 1 ს. 6 წ. **სახ.-საბარგ.** № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, შ 1 ს. 21 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ნარეკ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 5 ს. 56 წ. **ნარეკ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83/7 ნაშ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 4|3. დილ. 8 ს. 0 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 4 ს. 30 წ. **სახ.-საბ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ, 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **საბ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 5 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84. ღამ. 1 ს. 38 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და **ქუთაისს: სახ.** № 26, ღამ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 ი, 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 ი, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 ი, შუადღ. 1 ს. 5 წ. **სახ.** № 7 ი, საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 ი, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 ი, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და **ნატანებში: სახ.** № 18, ამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, ღამ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 10 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 40 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 61, ღამ. 1 ს. 33 წ. **სახ.-საბ.** № 62, ღამ. 4 ს. 50 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 20 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 28 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 50 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 38 წ.

გემების მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ)

15 ოქტომბრიდან,

შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.

(დრო ტფილისის საათით აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“

საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ., შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფ., პარ.**, დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი“ და მერკური“

საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პ ი რ დ ა პ ი რ ი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდან ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 4 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 5 ს. 44 წ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაღეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 7 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, ღილ. 10 ს. 14 წ. **სა-ფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარეკი** № 106. ღამ. 5 ს. 53 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, ღამ. 4 ს 20 წ. **სახ.** № 5, ღამ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 7 ს. 54 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ერევნისაკენ: საფ. № 4/3, ღამ. 1 ს. 16 წ. **სახ.-საბ.** № 8/7, ნაშ. 1 ს. 6 წ. **სახ.-საბარგ.** № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, შ 1 ს. 21 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ნარეკ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 5 ს. 56 წ. **ნარეკ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83/7 ნაშ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 4|3. დილ. 8 ს. 0 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 4 ს. 30 წ. **სახ.-საბ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ, 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **საბ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 5 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84. ღამ. 1 ს. 38 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და **ქუთაისს: სახ.** № 26, ღამ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 ი, 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 ი, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 ი, შუადღ. 1 ს. 5 წ. **სახ.** № 7 ი, საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 ი, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 ი, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და **ნატანებში: სახ.** № 18, ამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, ღამ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 10 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 40 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 61, ღამ. 1 ს. 33 წ. **სახ.-საბ.** № 62, ღამ. 4 ს. 50 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 20 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 28 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 50 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 38 წ.

გემების მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ)

15 ოქტომბრიდან,

შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.

(დრო ტფილისის საათით აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“

საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ., შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფ., პარ.**, დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი“ და მერკური“

საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პ ი რ დ ა პ ი რ ი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდან ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 4 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 5 ს. 44 წ.

ვ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

სილამაზის
უმაღლეს
ხარისხამდე!

№ 4711
ვარდის ფერი ბროლის
=ს ა პ ო ნ ი=

კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.

ფერდ. მიულგენსი.
პარფიუმერია № 4711.
კიოლნი ნ. რ. რ ი გ ა.
დაარსებული 1792 წ.



ერთი ნაპერი 2 კ.
ყველგან იშოვება

Метцл. 309286 309266 (10.1433.3)

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **ბ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. № 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ბ. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ეორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საკმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლ-აბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათიოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. სატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ეორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა შისცეს.

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.

გადავიდა ახალ ბინაზე

მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვინ მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

ავადმყოფებს იღებენ:

ალაჯანოვი მიხ.—საშარდე ორგანოთა, ათაშახგისა და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.

ვნუკოვი მ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებისა სულით-ავადმყ. ელექტროთერაპატია დილ. 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

შამშაში ი. ი.—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

ავილოვიცა ა. ა.—კბილის ავადმყ. 9½—11½ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. აბდენენ გამოკვლევას მიკროს. ოპიულ, ბაქტეროლოგიურსა და ქიმიურს. ყველილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაურია. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

წამლობა „606“-ით და 914. 1513

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ეორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შემზაკუნებ. კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. ხაბეიოთ ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. ზულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ბ. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ბვეტისიანცი: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთ ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ბ. ნავასარდიანი.**

სამეგობაროთავმჯდომარეობა
თუხარელისა.

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში. საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარეებისათვის 6 მან. არის საზოგ. დიდ ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ქალაქელებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს. (ს. ...) მოწმენს. თავმჯდომარის გამგე ექიმი ს. გ. **მი ირტუმოვი.** 1037

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი
„SANOSUCINUM“

სწრაფად და სანუგეშოდ ჰმოქმედობს და ... ...